თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 9

ქ. თერჯოლა 04.11.2025 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ლაშა ლანჩავა

სხდომას ესწრებოდნენ: 1. რამაზი ლორთქიფანიძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. ელისო მურადაშვილი, 5. გიორგი ბრეგაძე, 6. ეკა ბერძენიშვილი, 7. ჯანო რობაქიძე, 8. ვლადიმერ მაკარიძე, 9. გიორგი ყაზაიშვილი, 10. გიორგი ქასრაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:

1. თემური ქოჩიაშვილი

კომისიის შემადგენლობა: 12 წევრი

დამსწრე წევრთა რაოდენობა: 11 წევრი

კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი

1. ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.292501513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282530429, 31.10.2025 წ.);

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.29250158 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282530429, 31.10.2025 წ.).

მომხსენებელი: ლაშა ლანჩავა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ კომისიის წევრებს გააცნო, ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.292501513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. პროგრამის ბიუჯეტია 77 000 ლარი, იმისათვის რომ პროგრამამ იფუნქციონიროს სრულყოფილად საჭიროა ბიუჯეტი გაიზარდოს 8 000 ლარით და გახდეს 85 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის არცერთ წევრს აზრი არ გამოუთქვამს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი, ,,უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.292501513 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ კომისიის წევრებს გააცნო, ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.29250158 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. პროგრამის ბიუჯეტია 320 000 ლარი, ამ დროისათვის ბიუჯეტი მთლიანად გახარჯულია, ამიტომ საჭიროა ბიუჯეტის გაზრდა 17 000 ლარით და გახდეს 337 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: აზრი გამოთქვეს კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი, ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის №გ-29.29250158 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარე: **/ლაშა ლანჩავა/**